პროტოკოლი N10
სამედიცინო დოკუმენტაცია და მისი წარმოების წესი (მათ შორის ტუბერკულოზის სამსახურში მედიკამენტებისა და სახარჯი მასალის მენეჯმენტი, რეგულარული ტუბერკულოზის რეგისტრაცია-ანგარიშგების ფორმები)

მიზანი:

- ტუბერკულოზის ყველა შემთხვევის სათანადოდ რეგისტრაცია;
- რეგისტრირებული შემთხვევის დროული შეტყობინება;
- მკურნალობის მონიტორინგი.

სამიზნე ჯგუფი: ყველა ტუბერკულოზზე საეჭვო და აქტიური ტუბერკულოზით დავადებული პაციენტი, რომელიც ჩართულია ტუბსაწინააღმდეგო მკურნალობის პროცესში.

ვისთვის არის პროტოკოლი განკუთვნილი: პროტოკოლი განკუთვნილია ჰოსპიტალური და ამბულატორიული სექტორის პრაქტიკოსი ექთნებისთვის.

პროცედურის თანმიმდევრობა

ტუბერკულოზზე საეჭვო შემთხვევის დაფიქსირების ან რეგულარული ტუბერკულოზის დიაგნოსტიკის შემთხვევაში უნდა შეივსოს რეგისტრაცია-ანგარიშგების შემდეგი ფორმები:

1. ტუბერკულოზზე ეჭვმიტანილთა რეგისტრაციის ჟურნალი – A
   - ტუბერკულოზზე ეჭვმიტანილი ყველა პაციენტი ფთიზიატრის გადაწყვეტილებით ხვდება ტუბერკულოზზე ეჭვმიტანილთა რეგისტრაციის ჟურნალ A -ში (ახალი შემთხვევა);
2. წარსულში ნამკურნალევ შემთხვევებში ტუბერკულოზის აქტივობის განსაზღვრის რეგისტრაციის ჟურნალი – B
   - წარსულში ნამკურნალევ შემთხვევებში აქტივობის განსაზღვრის მიზნით პაციენტი რეგისტრირდება ჟურნალ B - ში და ენიჭება შესაბამისი ინდივიდუალური კოდი;
3. ტუბერკულოზით დაავადებულთან კონტაქტების რეგისტრაციის ჟურნალი
   - პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებული კონტაგიოზური (მგბ(+)) პაციენტების ოჯახის წევრების გამოკვლევა. მათი რეგისტრაცია ხდება ტუბერკულოზით დაავადებულთან კონტაქტების რეგისტრაციის ჟურნალში;
   - კონტაქტიდან ეჭვმიტანილი პაციენტი ხვდება ტუბერკულოზზე ეჭვმიტანილთა რეგისტრაციის ჟურნალში და ენიჭება ინდივიდუალური კოდი;
4. ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთა რეგისტრაციის ჟურნალი ტბ-03
   - ყველა დიაგნოზირებული შემთხვევა რეგისტრირდება ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთა რეგისტრაციის ჟურნალ ტბ-03-ში
5. მიკროსკოპიის სარეგისტრაციო ჟურნალი ტბ-04
   - მოიცავს ინფორმაციას ნახველის ბაქტერიოსკოპული გამოკვლევების შესახებ, როგორც სადიაგნოზოდ, ასევე მკურნალობის მონიტორინგისთვის

- ჟურნალი ინახება ლაბორატორიაში

6. მიმართვის ფორმა ტბ-05
   - ივსება ყველა ბაქტერიოლოგიური გამოკვლევისას, როგორც სადიაგნოზო შემთხვევებში, ასევე მკურნალობის მონიტორინგისას. ტბ-05-ის ზედა ნაწილი ივსება მკურნალი ექიმის მიერ, ხოლო ქვედა ნაწილი, ანუ გამოკვლევის შედეგი, იწერება ლაბორანტის მიერ და დასტურდება ექიმი-ლაბორანტის ხელმოწერით

7. ტუბერკულოზით დაავადებულის მკურნალობის ბარათი - ტბ-01
   - ივსება ყველა პაციენტზე ტუბერკულოზის დიაგნოზის დასმისთანავე, მკურნალობის დაწყების მიუხედავად
   - ტბ-01-ის წარმოება უნდა ხდებოდეს როგორც ამბულატორიულ, ასევე სტაციონარული მკურნალობის დროს
   - ფორმა ტბ-01 მოძრაობს პაციენტთან ერთად მკურნალობის მთელი კურსის განმავლობაში (ამბულატორია-სტაციონარი-ამბულატორია)
   - ტბ-01 არ ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დიაგნოზის დასმის შემდეგ პაციენტი უარს აცხადებს მკურნალობაზე. აღნიშნული ფორმა მონაცემთა ბაზაში არ იგზავნება

8. ტუბერკულოზის შემთხვევის შეტყობინების ინდივიდუალური ფორმა ტბ-10/12
   - ფორმა კოპირებადია და შედგება სამი ფურცლისგან
   - პირველი ფურცელი ივსება ტუბერკულოზის დიაგნოზის დადგენისას, მაშინაც კი, როდესაც პაციენტი უარს აცხადებს მკურნალობაზე და იგზავნება რეგიონულ მონაცემთა ბაზაში
   - მეორე ფურცელი მოიცავს დაკოპირებულ ინფორმაციას უკვე შევსებული პირველი ფურცლიდან და ასევე შესავსებ ინფორმაციას კულტურალური გამოკვლევის, ბაქტერიოსკოპული მონიტორინგისა და მკურნალობის გამოსავლის შესახებ
   - ამ ინფორმაციის შეტანა ხდება მკურნალობის გამოსავლის მინიჭებისთანავე
   - ინდივიდუალური ფორმა ტბ-10/12-ის მეორე ფურცელი აუცილებლად ივსება იმ დაწესებულებაში, სადაც პაციენტი დაასრულებს მკურნალობის სრულ კურსს და მიენიჭება მკურნალობის გამოსავალი
   - მეორე ფურცელი იგზავნება რეგიონულ მონაცემთა ბაზაში; მესამე ფურცელი მოიცავს სრულ ინფორმაციას პაციენტის მკურნალობის შესახებ, წარმოადგენს მეორე ფურცლის ასლს და მონაცემთა ბაზაში არ იგზავნება
   - მესამე ფურცელი რჩება იმ დაწესებულებაში, სადაც პაციენტს მიენიჭა მკურნალობის გამოსავალი
   - იმ შემთხვევაში, როდესაც პაციენტი სამკურნალოდ გადადის სხვა დაწესებულებაში (იგულისხმება საქართველოს შიგნით ტუბსაწინააღმდეგო დაწესებულებებს შორის გადასვლა), ინდივიდუალური ფორმა ტბ-10/12-ის მეორე და მესამე ფურცელი იგზავნება ფოსტით (აღნიშნული ფორმა პაციენტს ხელზე არ ეძლევა), იმ ამბულატორიულ დაწესებულებაში, სადაც პაციენტმა უნდა გააგრძელოს მკურნალობა

9. მედიკამენტების ყოველდღიური აღრიცხვის ჟურნალი ტბ-26
   - გამოიყენება ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტების ყოველდღიური აღრიცხვისთვის
   - ჟურნალის ერთი ფურცელი მოიცავს სრულ ინფორმაციას წლის განმავლობაში ერთი დასა-

ხელების მედიკამენტის ყოველდღიური შემოსავლისა და გასავლის შესახებ

10. ამბულატორიაში DOT-ის მონიტორინგის ფორმა ტბ-23

- ივსება ამბულატორიულ რეჟიმში წარმოებული რეგულარული ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტის კონტროლირებადი ქიმიოთერაპიის სრული კურსის განმავლობაში
- აღნიშნულ ფორმაში ტუბდაწესებულების ან პირველადი ჯანდაცვის ექთნის მიერ ხორციელდება ვიზიტებისა და პაციენტის მიერ ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტების ყოველდღიური მიღების მონიტორინგი, რასაც პაციენტი შესაბამის გრაფაში ადასტურებს ხელმოწერით
- აღნიშნული ფორმა მონაცემთა ბაზაში არ იგზავნება

11. ტუბერკულოზის შემთხვევათა რეგისტრაციის კვარტალური ანგარიში ტბ-07

- ივსება ყოველი კვარტლის მომდევნო თვის პირველი კვირის განმავლობაში და ემყარება გასულ კვარტალში ჟურნალ ტბ-03-ში რეგისტრირებულ შემთხვევათა რაოდენობას

12. თორმეტი თვის წინ რეგისტრირებულ შემთხვევათა მკურნალობის შედეგების კვარტალური ანგარიში ტბ-08

- ივსება ყოველი კვარტლის მომდევნო თვის პირველი კვირის განმავლობაში და ემყარება 12 თვის წინ ჟურნალ ტბ-03-ში რეგისტრირებულ შემთხვევათა მკურნალობის შედეგებს

13. მედიკამენტების ხარჯვის კვარტალური ანგარიში ტბ-21

- ფორმის წარმოება ხდება კვარტალურად ყველა რეგიონალურ ტუბსაწინააღმდეგო დაწესებულებაში ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის აფთიაქში წარსადგენად
- ივსება ყოველი კვარტლის ბოლო დღეს და ემყარება მთლიანად რეგიონში გასული კვარტალის განმავლობაში პირველი რიგის ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტების ხარჯვას

14. მედიკამენტების ხარჯვის ყოველთვიური ანგარიში ტბ-21

- ფორმის წარმოება ხდება ყოველთვიურად ტუბდაწესებულებებისა და პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების მიერ რეგიონალურ დაწესებულებაში წარსადგენად. ივსება ყოველი თვის პირველ რიცხვში და ემყარება ტუბდაწესებულებებსა და პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში გასული თვის განმავლობაში პირველი რიგის მედიკამენტების ხარჯვას.

წყაროები:

Management of Tuberculosis Training for Health Facility Staff Second Edition, World health Organization, 2010

Collection and Transport of Tuberculosis Specimens, 2011

TB Guidelines for Nurses in the Care and control of Tuberculosis and Multi-drug Resistant Tuberculosis 2nd ED. 2008

Centers for Disease Control and Prevention "Guidelines for Preventing the Transmission of Mycobacterium tuberculosis in Health-Care Settings, 2005"

ტუბერკულოზის მართვის საერთაშორისო სტანდარტები, ჯანმო 2006